



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5001627123

13/03/2023



5001627123

ა(ა) იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის სამმართველო-ს დირექტორს ბატონ
აკაკი ბერიძეს

(საქართველო, ბათუმი ტბელ აზუსერიძის ქ. N 21 ბ. 9)

ბატონო აკაკი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N90-1423032162
მომართვის (ბიუროს 2023 წლის 2 თებერვლის რეგისტრაციის N1000798023) საფუძველზე, გიგზავნით N001678023
დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

პაველ გიორგაძე

ბიუროს უფროსის მოადგილე



5001627123

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალზე დოკუმენტის თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი 14.03.23





001678023

ექსპერტის დასკვნა № 001678023

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ა(ა) იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: საქართველო. ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ. N 21 ბ. 9

სახელი და გვარი: აკაკი ბერიძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ბაჩუკი ჯინჭარაძე / აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

რევაზ მყავანაძე / აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაგვიდგინოთ ქ.ბათუმში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა, საფრთხის შემცველია თუ არა სიცოცხლისთვის შენობის არსებული სახით ექსპლუატაცია და გამაგრების შემთხვევაში რამდენად რენტაბელურია სამუშაოების ჩატარება. მისამართი პუშკინის ქ.№158.

შემოსვლის თარიღი: 02/02/2023 წ

გასვლის თარიღი: 13/03/2023 წ

დასკვნა

ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქუჩა №158-ში მდებარე ძირითადი 9 სართულიანი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა მასში არსებული მცირედი ბზარების მიუხედავად დამაკმაყოფილებელია, ბზარები ატარებენ ლოკალურ ხასიათს და ისინი გავლენას ვერ მოახდენენ შენობის საერთო მდგრადობაზე.

ქუჩის მხრიდან მიშენებული რ/ბ-ის კონსტრუქცია საჭიროებს დეტალურ კვლევას, კერძოდ: საჭიროა შესწავლილი იქნას მიშენებულ კონსტრუქციაზე შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო შესრულებული სამუშაოების ხარისხი გაკონტროლებული უნდა იქნას შესაბამისი სამსახურების მიერ. დეტალურად (იხ.დასკვნის კვლევა).

ბაჩუკი ჯინჭარაძე



001678023

ექსპერტის დასკვნა № 001678023

რევაზ მჭავანაძე

გამოკვლევა

2023 წლის 02 თებერვალს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში რეგისტრაციის (№1000798023)-ით ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს №90-1423032162 მომართვის საფუძველზე დაინიშნა საინჟინრო ექსპერტიზა, რომელიც მოიცავს ქალაქ ბათუმში, პუშკინის ქ. №158-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის დადგენას.

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ამა წლის 10 მარტს განვახორციელეთ ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული შენობის ინსპექტირება, რის შედეგად ჩვენს მიერ ვიზუალურად დათვალიერებული და დასურათებული იქნა აღნიშნული ობიექტი. (იხ. დასკვნის ფოტო მასალა).

საკვლევი ობიექტი წარმოადგენს, პუშკინის ქ. №158-ში მდებარე 9 სართულიან ორსადარბაზოიან რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციისგან ნაგებ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც ეზოს მხრიდან გააჩნია რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ცალკეული მიშენებები, შენობის პირველ სართულს პუშკინის ქუჩის მხრიდან გააჩნია ასევე რ/ზ-ის მიშენება სადაც განთავსებულია სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტები.

ძირითადი შენობა-ნაგებობის საძირკველი ლენტური ტიპისაა, შესრულებული მონოლითური რკინა-ბეტონით, შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია ანაკრები სვეტებისა და მსხვილობლოკური მზიდი კედლების სისტემით, სართულშუა გადახურვები შედგება ანაკრები რკინა-ბეტონის პანელებისაგან, ხოლო ბრტყელ გადახურვაზე მოწყობილია ქანობიანი სახურავი თუნუქის ფენილით.

შენობის ვიზუალური დათვალიერებისას სადარბაზოში კიბის უჯრედისა და შენობის გადაბმის ადგილებში შეინიშნება მცირედი გახსნილობის ბზარები, ხოლო შენობაზე სხვა მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ბზარები ან დეფორმაციები არ დაფიქსირებულა.

ზემოხსენებულ შენობას როგორც ავღნიშნეთ პუშკინის ქუჩის მხრიდან გააჩნია მიშენებული რ/ზ-ის კონსტრუქცია, სადაც განთავსებულია სავაჭრო ობიექტები, მათზე ვიზუალური დაკვირვებით დადგინდა, რომ მასში გარკვეული პერიოდის წინ შესრულდა რიგი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მიშენებული კონსტრუქციის სიმაღლის გაზრდის მიზნით, ძირითადი შენობის გადაბმის ადგილებთან დემონტირებულია გადახურვის პანელები, ასევე ლოკალურად ღიობების გაფართოების მიზნით გამოღებულია მზიდი კედლების ნაწილი, თუმცა მიშენებასა და შენობის გადაბმის ადგილებთან რაიმე სახის ბზარები ან დეფორმაციები არ აღინიშნება.

შენიშვნა: იმისათვის, რომ ექსპერტიზამ იმსჯელოს მიშენებულ კონსტრუქციასა და ძირითად შენობაში შესრულებულ სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოებზე, საჭიროა დეტალურად იქნას შესწავლილი შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია და აღნიშნული პროექტის მიხედვით შესრულებული სამუშაოების ხარისხი.

ამრიგად, ვიზუალური კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, ქალაქ ბათუმში პუშკინის ქუჩა №158-ში მდებარე ძირითადი 9 სართულიანი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა მასში არსებული მცირედი ბზარების მიუხედავად დამაკმაყოფილებელია, ბზარები ატარებენ ლოკალურ ხასიათს და ისინი გავლენას ვერ მოახდენენ შენობის საერთო მდგრადობაზე.

ქუჩის მხრიდან მიშენებული რ/ზ-ის კონსტრუქცია საჭიროებს დეტალურ კვლევას, კერძოდ: საჭიროა შესწავლილი იქნას მიშენებულ კონსტრუქციაზე შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო შესრულებული სამუშაოების ხარისხი გაკონტროლებული უნდა იქნას შესაბამისი სამსახურების მიერ.

ბაჩუკი ჯინჭარაძე



001678023

ექსპერტის დასკვნა № 001678023

რევაზ მჟავანაძე

გამოყენებული მასალები

1. ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს №90-1423032162 მომართვა.
2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომდეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.
3. СП-13-102-2003.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: სიმონ გოგილაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ანზორ ერგემიძე



001678023

ექსპერტის დასკვნა № 001678023

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



001678023

ექსპერტის დასკვნა № 001678023



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



001678023

ექსპერტის დასკვნა № 001678023




ფოტო 13




ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17




ფოტო 18



001678023


ექსპერტის დასკვნა № 001678023



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



3001678023

მიღება-ჩაბარების აქტი № 3001678023



| | |
|---------|--------|
| რეგიონი | ბათუმი |
|---------|--------|

| | |
|-------------------|------------|
| დასრულების თარიღი | 13/03/2023 |
|-------------------|------------|

| | | | |
|-----------------------|------------|-----------------------|-------------------------|
| დოკუმენტი: | | | |
| რეგისტრაციის ნომერი: | 1000798023 | მომსახურების ტიპი: | ჩვეულებრივი |
| რეგისტრაციის თარიღი: | 02/02/2023 | საქმის ნომერი: | |
| ხელშეკრულების ნომერი: | 2000383623 | ხელშეკრულების თარიღი: | 22/02/2023 - 31/12/2023 |
| შეთანხმების ნომერი: | | შეთანხმების თარიღი: | |
| დასკვნის ნომერი: | 001678023 | | |

| | |
|------------------------|--|
| ექსპერტიზის დამკვეთი : | |
| სახელი და გვარი: | აკაკი ბერიძე |
| პირადი ნომერი: | 61001072724 |
| ორგანიზაცია: | ა(ა) იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 445532308 |
| თანამდებობა: | დირექტორი |
| დოკუმენტის შემომტანი: | რევაზ ცხადაძე |

| შესრულებული კვლევის კოდი (საქ. მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით) | ობიექტების რაოდენობა | საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე | თანხა |
|--|----------------------|---|-----------------------|
| 13007. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დეტალური გამოკვლევებისთვის საჭირო ღონისძიებების შედგენა | 1 | *2500 | 2500 |
| | | | ჯამი: 2500.00 |
| | | | საბოლოო ფასი: 2500.00 |

| | | | |
|---|--|---|--|
| შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი): | | | |
| ბაჩუკი ჯინჭარაძე | | რევაზ მყავანაძე | |
| საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი | | საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი | |
| სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი | | მიმღები პირი | |
| (ხელმოწერა) | | (ხელმოწერა) | |
| | | გაცემის თარიღი | |

